თამარ ორჯონიკიძე •

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში •

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი ბათუმში დაარსდა 1908 წელს როგორც სასკოლო მუზეუმი, 1939 წლიდან კი ეწევა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მუზეუმში დაცულია 180 000-მდე ექსპონატი. აღსანიშნავია, რომ მუზეუმს დიდი სივრცე არ უკავია და აქედან გამომდინარე რთულია, სრულყოფილად წარმოჩინდეს და სრულად გამოიფინოს რომელიმე კონკრეტულ ეპოქასა თუ მოვლენასთან დაკავშირებული ექსპოზიცია. ამის მიუხედავად, მუზეუმი დამთვალიერებელს დამოუკიდებლობის გამოცხადების და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ მნიშვნელოვან მასალებს აცნობს.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებულ მასალებს (სხვასთან ერთად) მუზეუმში ერთი ოთახი უკავია. განსაკუთრებული ყურდღებაა გამახვილებული აჭარის საქართველოსთან დაბრუნების საკითხზე და ამ თემასთან დაკავშირებული როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ პირების პორტრეტები და მოვლენათა აღწერაა მოცემული. მუზეუმში განთავსებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ ხელმოწერილი დამოუკიდებლობის აქტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა, პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, დემოკ-

---

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, ასისტენტ-მკვლევარი.

• მოხსენება მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის - „თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან: საქართველოს ეროვნული საბჭო-საქართველოს პარლამენტი" ფარგლებში. გრანტის კოდი: FR-23-2950

რატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ, სამხედრო და სასულიერო ხელმძღვანელთა სურათები, კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულები, დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში გამომავალი გაზეთების სხავადასხვა ნომერი და სხვა, პირველ რესპუბლიკასთან დაკავშირებული მასალები.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმში გამოფენილია ე. ეფრემოვის მიერ შესრულებული ნახატი სახელწოდებით „მენშევიკების გაქცევა ბათუმიდან“. საბჭოთა პროპაგანდისტული სურათი როგორც მუზეუმის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა აღნიშნული, შესრულებულია 1940 წელს, მუზეუმისვე დაკვეთით[1]. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებამ 1921 წლის 18 მარტის დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის შემდეგ ქვეყანა სწორედ ბათუმიდან გემით დატოვა, საბჭოთა რეჟიმის პირობებში დაკვეთილი ნახატის აჭარის მუზეუმში გამოფენა და მიზანი გასაგებია - „მენშევიკები გაიქცნენ და მოსახლეობა მიატოვეს“.

მუზეუმში მცირე ექსპოზიცია ეთმობა ბათუმში ინგლისელთა ოკუპაციის პერიოდს. საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელის ბრძანებებთან ერთად მუზეუმი დამთვალიერებელს ინგლისელი ჯარისკაცების სურათებსაც სთავაზობს.

მუზეუმში ყურადღებას ამახვილებს 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენებზე და ბათუმიდან ოსმალების განდევნაზე. გიორგი მაზნიაშვილის სურათთან ერთად მოცემულია ბათუმის ოსმალთაგან გათავისუფლების ბრძოლაში მეომართა საფლავებიდან ამოღებული ნივთები.

მუზეუმი დამთვალიერებელს ასევე წარუდგენს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობის დამახასიათებელ მასალებს. მათ შორის ფულის ნიშნებს, ბათუმში გამოცემულ მარკებს.

[1] https://ajaramuseums.ge/museums/khariton/efremovimenshevikebis-gaqceva-batumidan1921-w-tz-shesrulebulia-1940-wels-muzeumis-dakvetit

აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდზე „აჭარის მუზეუმები“[2], ცალკე გვერდი ეთმობა ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმს[3], რომელიც კოლექციების მცირე აღწერას, ვირტუალურ ტურს, ღონისძებებს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას აერთიანებს მუზეუმის შესახებ. თუმცა გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია ზოგ შემთხვევაში უზუსტობებს შეიცავს. მაგ. კოლექციის აღწერაში, რომელიც 1921 წლის თებერვალ-მარტის ომს ეხება, ვებ-გვერდზე აღნიშნულია, რომ მუზეუმში გამოფენილია 1921 წლის ივნისის საქართველოს კონსტიტუციის პროექტი. მნიშვნელოვანია მექანიკური უზუსტობის გამოსწორება - კონსტიტუციის პროექტი 1920 წლის ივნისში გამოქვეყნდა. ამავე გვერდზე აღნიშნულია, რომ „1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია“ - უმჯობესი იქნება ინფორმაცია ჩასწორდეს და მიეთითოს, „ფაქტობრივი ანექსია“ ან „ოკუპაცია“[4].

შესაძლებელია იმის თქმა რომ ფართის სიმცირის მიუხედავად, მუზეუმში გამოფენილი მასალები გარკვეულწილად მაინც უქმნის დამთვალიერებელს წარმოდგენას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. რასაკვირველია, უმჯობესი იქნება თუ მუზეუმს დიდი სივრცე დაეთმობა და უფრო მეტი მასალა იქნება ხელმისაწვდომი მნახველისთათვის, ეს უკვე წარმოდგენილ მასალებს შეავსებს და გაამრავალფეროვნებს.

Tamar Orjonikidze

[2] https://ajaramuseums.ge/
[3] https://ajaramuseums.ge/museums/khariton
[4] https://ajaramuseums.ge/museums/khariton/1921-wlis-tebervalmarti-batumshi-giorgi-mazniashvili

he Democratic Republic of Georgia at the Khariton Akhvlediani Ajara State Museum

Abstract

The Khariton Akhvlediani Ajara State Museum in Batumi was founded in 1908 as a school museum, and since 1939, it has been engaged in scientific research. The museum houses approximately 180,000 exhibits.

It should be noted that the museum does not occupy a large space; consequently, it is difficult to fully present and display an exhaustive exhibition related to any specific era or event. Despite this, the museum provides visitors with significant materials regarding the declaration of independence and the Democratic Republic of Georgia.

Materials related to the Democratic Republic of Georgia (among others) occupy one room in the museum. Particular attention is focused on the issue of Ajara's return to Georgia, featuring portraits of military and political figures associated with this theme, along with descriptions of historical events. The museum houses the Act of Independence signed by the Constituent Assembly of Georgia, the flag of the Democratic Republic of Georgia, the draft Constitution of the First Republic, photographs of political, military, and religious leaders, collections of laws and government decrees, various issues of newspapers published during the republic's existence, and other materials related to the First Republic.

Notably, the museum displays a painting by E. Efremov titled *"The Flight of the Mensheviks from Batumi."* As noted on the museum's official website, this Soviet propaganda piece was commissioned by the museum itself in 1940. Given that the government of the First Republic of Georgia left the country by ship from Batumi following the final session of the Constituent Assembly on March 18, 1921, the purpose of displaying this Soviet-commissioned painting is clear: to promote the narrative that "the Mensheviks fled and abandoned the population."

A small section of the museum is dedicated to the period of British occupation in Batumi. Along with orders issued by the head of the occupation regime, the museum presents photographs of British soldiers to the visitors.

The museum also highlights the events of February-March 1921 and the expulsion of the Ottomans from Batumi. Alongside a portrait of General Giorgi Mazniashvili, items recovered from the graves of soldiers who fought in the battle to liberate Batumi from the Ottomans are displayed. Additionally, the museum presents materials characterizing the economic state of the Democratic Republic, including banknotes and stamps issued in Batumi.

It is worth noting that on the "Ajara Museums" website, a dedicated page for the Khariton Akhvlediani Museum includes brief descriptions of collections, a virtual tour, events, and other important information. However, the information published on the site occasionally contains inaccuracies. For example, in the description of the collection regarding the February-March war of 1921, the website states that the draft of the June 1921 Constitution is on display. It is important to correct this mechanical error: the draft Constitution was actually published in June 1920. Furthermore, the page states that "in February-March 1921, Soviet Russia annexed Georgia"—it would be preferable to correct this to "de facto annexation" or "occupation."

In conclusion, it can be said that despite the limited space, the materials exhibited in the museum still provide visitors with a certain understanding of the Democratic Republic of Georgia. Naturally, it would be beneficial if the museum were allocated a larger space to make more materials available, which would further enrich and diversify the existing collection.